

პაატა ბუხრაშვილი

ქრისტემდე III ათასწლეულის შუა ხანების ცენტრალური ამიერკავკასიის მოსახლეობის სამეურნეო- ოფითი სტრუქტურის განსაზღვრისათვის

ერის, ეთნოსის წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესი (ეთნოგენეზი) სხვა-დასხვა სამეცნიერო დისციპლინების (არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიის და სხვათა) კომპლექსური კვლევის საგანია, რამეთუ თავად ეთნოსი მრავალსახოვანი ფენომენია და გამომდინარე აქედან, მისი შესწავლა მხოლოდ რომელიმე ერთი ცალკე აღებული დარგის მეშვეობით ცალმხრივი და არასრული იქნება. კომპლექსური კვლევის აუცილებლობა მთელ რიგ სიძნელეებს ქმნის და ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს რიგი პრობლემების წინაშე აყენებს, რომელთა დაძლევის გარეშეც შეუძლებელია განსაზღვრულ რეგიონში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არსებული მოვლენების წარმოდგენა-ანალიზი.

მეცნიერება, უმაღლეს დონეზე, სხვა არაფერია, თუ არა სამყაროთმცოდნეობა, რომელსაც თავად შემოქმედის „ლაბორატორიაში“ შეჰყავხარ. აზროვნება იმავდროულად არის ობიექტური სამყაროს, ანუ სულიერი და ფიზიკური რეალობის შემეცნების საშუალებაც და როგორც სუბიექტური პროცესი, – ადამიანის „მე“-ს გამოხატულებაც“ (1, 12). ადამიანი, როგორც მაღალი დანიშნულების და თავისუფალი ნების მქონე არსება, უზენაესმა შექმნა და მისი პიროვნული თავისუფლება შემოქმედისგან მომდინარეობს. ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად თვისად“ და, ამდენად, ადამიანი გამორჩეულ, თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს. იმ ორი სუბსტანციიდან (სულიერი და მატერიალური), რომლებიც მთლიანობაში ადამიანის არსებას შეადგენენ, უმთავრესი და უპირატესად ფასეულია უკვდავი სული. იგი მისგან მომდინარე გონიერ საწყისთან ერთად ადამიანის პიროვნულობის, ინდივიდუალობის განმსაზღვრელია. ე. ი. თავისთავადობა, დამოუკიდებელი ჭვრეტა სიღრმისეული პროცესებისა, რასაც ვერასგზით ვერ ავცდებით კვლევის პროცესში, თავისთავად, ვერ ჩაითვლება ხელის შემშლელ ფაქტორად, როგორც ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა ხოლმე საბჭოური უნიტარული აზროვნების ზეობის პერიოდში. პირიქით, ეს უცილობელ პირობად უნდა მივიჩნოთ და გარკვეულად შინაგანი, პიროვნული თავისუფლების გამოვლინებად ვაღიაროთ, რამეთუ „ჭეშმარიტად შემოქმედებითი სული ვერ ეგუება ვერავითარ სტატიკურ დოგმებს, ვინაიდან შემოქმედება თავად დინამიკაა, იგია თავად დინამიური სულის სინამდვილე“ (2, 413).

ამდენად, ყოველი ჭეშმარიტი მკვლევარი ამ კუთხით მზერს და აფასებს სხვათა ნაღვას. ეს თავისთავად გამორიცხავს რაიმე პიროვნულ დაპირისპირებას კოლეგათა შორის, რამეთუ ყოველი მათგანი „შემოქმედის ლაბორატორიაში“ შესვლას მიესწრავის და ამ გზაზე სიარული ხვეწს და სანთლად ჩამოქნის თითოეული მათგანის სულს. ამის ნათელი მაგალითია დიდ მეცნიერ მამულიშვილთა ბიოგრაფიებიც.

ქართული კულტურის ძირითადი მახასიათებელი, როგორც ამას ხატოვანდ და მართებულად აღნიშნავენ, არა ქმედითი, არამედ ჭვრეტითი ელემენტია (1ა, 23), რომელიც თავის მხრივ სამ ფუძემდებლურ პრინციპს ეყრდნობა: ინდივიდუალიზმს, ნაციონალიზმს (ეროვნულობას) და თეიზმს (ღმრთივმორწმუნეობას). იგი გულისხმობს ქართველი ერის მიერ განვლილი გზის, ერის რაობისა და დანიშნულების, ეროვნული სახელმწიფო ინტერესების გააზრებას. მისი ფორმირებისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ეროვნული არსის საგანძურს – წინაპართა სულიერ და გონით მემკვიდრეობას, ისტორიულად ფორმირებულ და ყოფაში გადმოცემულ ტრადიციებს, ჩვეულებებს, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ჩამოყალიბებულთ გენის, ჯიშის ღვთითბობებულ გარემოსთან ბიოცენოზში შესვლის შედეგად.

ეხებიან რა წინარე ისტორიის პრობლემებს, ეთნოგონიისა და ეთნოგენეზისადმი მიძღვნილ საკითხებს, მკვლევართა ერთი ნაწილი ხანდახან იმგვარად წარმოაჩენს ხოლმე წინარე ისტორიულ პერიოდებში მიმდინარე პროცესებს, თითქოსდა ეთნიკური საზოგადოებების ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე დიდი ყოფილიყოს წილი პალეოეთნიკურ ელემენტთა ურთიერთშერწყმისა და ურთიერთშერევისა. არადა, საზოგადოებრივ პროცესთა შიგნით მართლაც ამგვარი პროცესების უპირატესობასთან რომ გვეჭონდეს საქმე, სრულიადაც არ გვექნებოდა ის მრავალსახეობა და მრავალსხვაობა ეთნიკური ელემენტებისა, რითაც ესოდენ ხასიათდება დღევანდელი კაცობრიობა. მისი ისტორიის ადრეულ საფეხურებზე, რაღა თქმა უნდა, ხდებოდა პალეოეთნიკურ ელემენტებს – წინარე ეთნოსებს* (3, 279) შორის ურთიერთობა, მაგრამ ხდებოდა ღრმა ინდივიდუალობის საფუძველზე; ისინი (როგორც ფიზიკური და „ბიოკულტურული“ ელემენტები) შინაგანად უკვე მოიცავდნენ თავისთავადობისა და თვითმყოფადობისაკენ სწრაფვის მძლავრ მუხტს და გამომდინარე აქედან, ურთიერთობებსაც ერთიმეორესთან (იქნებოდა ეს სამოყვრო, სამტრო თუ სხვა სახის ყოფითი ურთიერთობები) ამ ნიშნით წარმართავდნენ.

აქვე გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ თვით მკვლევარის დამოკიდებულებასაც აღნიშნული საკითხების შესწავლისადმი. ჩვენში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საზოგადოებრივი დისციპლინების (და არა მარტო მათ) ბაზისად ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია იყო გამოცხადებული, რომელიც თავის მხრივ კაცობრიობის ისტორიას ევოლუციონისტური

* შეადარე ტერმინს – „წინარე ენა“

მოდღერების „მუქზე“, ე.ი. უმდაბლესიდან უმაღლესისკენ სტადიალური და აუცილებელი განვითარების კუთხით განიხილავდა. საბჭოთა და გამომდინარე აქედან თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ეთნოსის – ერის ფორმირება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაიწყო და საბოლოოდ კაპიტალისტური საზოგადოების უკანასკნელ „აღბობად“ ფაზაში – იმპერიალიზმში დასრულდა, რაც თავის მხრივ ეროვნულ თვითგამორკვევასა და ოდნავ მოგვიანებით, სოციალისტურ ერად მის ჩამოყალიბებაში გამოიხატა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სქემის საფუძველზე ეთნოგენეტიური პროცესების წარმოჩენისას გარკვეული უხერხულობა როგორც ქართველ, ისე სხვა საბჭოთა ისტორიკოსთა გარკვეულ წრეებში თავიდანვე იგრძნობოდა. თავისთავად ეს განწყობა აირეკლებოდა „ფეოდალურ“, „კაპიტალისტურ“, „სოციალისტურ“ და კიდევ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებში არსებულ ეთნიკურ ერთეულების შესახებ გაშლილ სადისკუსიო მსჯელობებში. იხმარებოდა ტერმინები – „სოციალისტური ერი“, „კაპიტალისტური ერი“, „ფეოდალური ერი“ და კიდევ მრავალი სხვა მეთოდურად გაუმართავი და გაუმართლებელი სახელწოდებები. მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, ისტორიზმის ამოსავალ დებულებებზე საბჭოთა სამეცნიერო სივრცეში კვლავაც მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე დაფუძნებული მატერიალისტური შეხედულებები იყო გაბატონებული*, რის საფუძველზეც საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლების ისტორიად აღიქმებოდა. გამომდინარე აქედან, კაცობრიობის განვითარების ქვაკუთხედად საწარმოო საშუალებების თანდათანობითი, ევოლუციური განვითარება მოიაზრებოდა. ყოველივე აღნიშნულის შედეგად ჩამოყალიბდა შესაბამისი დამოკიდებულება კაცობრიობის ისტორიისადმი, რომელიც უმდაბლესიდან უმაღლესისკენ სტადიალურად იქნა დაყოფილი პირველყოფილ, მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებებზე, რაც თავის მხრივ, კაცობრიობის ერთგვარად წრიულ ციკლურ სვლას გულისხმობდა პირველყოფილი კომუნიზმიდან მეცნიერულ კომუნიზმისაკენ. საზოგადოების ისტორიის ამგვარი ევოლუციონისტური გააზრება, გარკვეული იდეოლოგიურ მიზნებსაც ისახავდა; კერძოდ, ჩაენერგა ე.წ. საბჭოთა ადამიანისთვის ერთგვარი მედიდურობის გრძობა წარსულისადმი, რათა მას წინაპრის ყოველი ნაბიჯი, ყოველი ნამოქმედარი მიუხედავად სიდიადისა, აღეჭვა დამცირებულად, დაკნინებულად თანამედროვეობასთან მიმართებაში. ეგრძნო თავი წინაპარზე უფრო მაღლამდგომად მხოლოდ და მხოლოდ იმისა გამო, რომ თავად, ქრონოლოგიურად უფრო განვითარებული საწარმოო საშუალებების ე.წ. ტექნიკური საუკუნის პირმო სოციალიზმში ცხოვრობდა. გამომდინარე აქედან, „ჰომო სოვეტიკუსის“ (თუნდაც ეთნიკურად ქართველის) ცნობიერებაში შუა საუკუნეების ეროვნულ მოღვაწეთა (მაგალითად

* სამწუხაროდ, სსრკ-ს დაშლიდან აი უკვე თითქმის ათწლეული გავიდა და სურათი არ შეცვლილა.

დავით აღმაშენებლის) გადადგმული ნაბიჯები უფრო დაკნინებულად გაიაზრებოდა, ვიდრე ამჟამინდელი კაცის კაც ჩინოვნიკთა ჩალიჩი იმისა გამო, რომ პირველნი ემპირიულ ცოდნაზე აღმოცენებული ტექნიკური მიღწევების გარეშე ცხოვრობდნენ და ცხენებით მგზავრობდნენ, ხოლო მეორენი შიგაწვისძრავიან ლიმუზინებით დასრიალებდნენ. სამაგიეროდ უპასუხოდ რჩებოდა მრავალი შეკითხვა, რომელიც საზოგადოების ისტორიის ამგვარი გააზრების შედეგად წარმოიშობოდა. თუნდაც ის, თუ რატომაა უფრო დიადი „ფეოდალური“ ეპოქის შემოქმედის შოთა რუსთველის ნაღვაწი „ვეფხისტყაოსანი“ სოციალისტური რეალიზმის რომელიმე მელექსის ნაცოდვილარზე.

შემოთქმულიდან გამომდინარე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობის ისტორიის გააზრებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ღირებულებათა რა სახის კატეგორიები იქნება აღიარებული საზოგადოების მთავარ მამოძრავებელ ძალებად – დროებითი (მატერიალური) თუ მუდმივი (სულიერი). უპირველეს ყოვლისა წარსულის ანალიზის დროს, ამგვარი „ზემოდან“ ყურების პრაქტიკა უნდა დაიძლიოს და ყოველი ფაქტი, ყოველი გამოვლინება პალეოკულტურისა, იქნება ეს ლინგვისტური, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური თუ სხვა რომელიმე სახის მასალით წარმოდგენილი, უნდა გავიაზროთ შესაბამისი ეპოქის პოზიციებიდან, რამდენადაც ადამიანის სულის შემოქმედებანი როგორც ცოცხალი ბუნების ნაწარმოებნი შეიძლება შევიგრძნოთ მხოლოდ მაშინ, თუ მათ შევისწავლით გარემოსთან მიმართებაში (4, 13). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოებრივ ისტორიული პროცესი ეს ისეთივე ობიექტური პროცესია, როგორც საერთოდ ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, თუმცა მათ საკუთარი კანონზომიერებანი ახასიათებთ, რომელთა შორისაც არსებობს ერთიანობა და არა იგივეობა. ამასთანავე შესაძინევია ის ფაქტიც, რომ გარკვეული ისტორიული პერიოდის, გარკვეული საზოგადოების ცხოვრება, თუკი მას ზოგად ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, თვისობრივად არ წარმოადგენს რაღაც არსებითად განსხვავებულს სხვა ნებისმიერი ხანის საზოგადოების ცხოვრებისგან. ამდენად, ამ ფენომენის განყენებულად შესწავლა დაუშვებელია. იგი უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ სამყაროსთან, სამყოფელ გარემოსთან – სამკვიდრებთან კავშირში, კომპლექსურად.

იდეოლოგიური წნეხის ზეწოლის შედეგად ჩამოყალიბებული, საბჭოური აზროვნების სტერეოტიპებით გაჯერებული შეხედულებების თანახმად მიჩნეული იყო, რომ ყოველი ერი და განსაკუთრებით სსრკ-ში შემავალი ერები იმ ტერიტორიალურ საზღვრებში ჩამოყალიბდნენ, რომელშიც მოცემულ სიტუაციაში იმყოფებოდნენ. აღნიშნული დებულება შესაბამისად გარკვეულწილად ბოჭავდა იმ საისტორიო დისციპლინებს, რომლებიც ხალხთა ეთნოგონია-ეთნოგენეზის საკითხებს შეისწავლიდნენ, იკვლევდნენ იმ პრობლემებს, რომლებიც მოიცავდნენ და აერთიანებდნენ ნიშან-თვისებათა ისეთ ერთობლიობას, რაც თავისთავად განაპირობებდა კიდევ ამ თუ იმ ეთნიკური ერთეულის თავისთავადობასა და თვითმყოფადობას. სრულიად სამართლიანდ არის მიჩნეული, რომ ერის ინდივიდუალობა ეს განსხვავებულობათა ერთობლიობაა (5, 370).

ადიარებულია, რომ ეთნიკური პროცესების შესწავლა სამართლიანად განეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე მეტად ძნელად საკვლევ საკითხთა რიგს. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მსგავსად ჩვენშიც ეთნოგენეტიკური პროცესების შესწავლა უპირობოდ მარქსისტული მოძღვრების უქუჩე ხდებოდა, ამ პრობლემატურ საკითხთა კვლევის თეორიული საფუძვლები ნამდვილად ვერ ჩაითვლება საბოლოოდ შემუშავებულად და გასიგრძელებულად. თანამედროვე სიტუაციაში, როდესაც ქართველი ერი ესწრაფვის თვითგამოხატვასა და თვითდამკვიდრებას მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში, მისი ეთნოგონიისა და ეთნოგენეზის საკითხების ღირსეულად წარმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ ეთნოსის (ერის, ხალხის) თვისობრიობიდან გამომდინარე, ეს ფენომენი რიგი სამეცნიერო დისციპლინების კვლევის საგანია და რამდენადაც იგი მრავალსახოვანი ფენომენია, მისი ფორმირების შესწავლაც კომპლექსურად უნდა წარიმართოს. ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს ცნობილი რუსი მეცნიერი ს. ა. ტოკარევი თავის ერთ-ერთ გახმაურებულ სტატიასში აღნიშნავდა – ცალკეული ხალხების ეთნოგენეზის შესწავლა ერთობ რთულ პრობლემას წარმოადგენს, რომლის სრულად გადაწყვეტა წარმოუდგენელია ეთნოგენეტიკური პროცესებისადმი დამახასიათებელი ყველა ნიუანსის გაუთვალისწინებლად და ყოველი სახის წყარო-მასალის სათანადო განხილვის გარეშე. მეცნიერი წუხდა, რომ ყოველთვის ასე არ ხდება და ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის პრობლემა ძალზე ხშირად მხოლოდ ერთ-ერთი რომელიმე დისციპლინის მეშვეობით შეისწავლება. ეს კი, თავის მხრივ, საკითხის ცალმხრივ გადაწყვეტის მიზეზი ხდება (8, 35). ეთნოგენეზის პრობლემების კომპლექსურ კვლევებში ცალკეულ დისციპლინათა საშუალებით მოძიებული მასალების გამოყენების სპეციფიკა რიგ გამოკვლევებში ნათლად გასიგრძელებული, მაგ., არქეოლოგიურისა – პ. ნ. ტრეტიაკოვის, ლინგვისტურისა – გ. ს. კნაბეს, ანთროპოლოგიურისა – გ. ფ. დებეცის და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის უდაოდია მიჩნეული ეთნოგენეტიკური პროცესების კომპლექსური შესწავლის აუცილებლობა, მაინც საკმაოდ ხშირია მათი მხოლოდ ერთ რომელიმე სახის მასალაზე დაყრდნობით განხილვისა და სხვა მონაცემთა უგულვებელყოფის შემთხვევები.

ეთნოგონიისა და ეთნოგენეზის საკითხების შესწავლაში განმსაზღვრელი ადგილი არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ, წყაროთმცოდნეობით, ანთროპოლოგიურ მონაცემებსა და დასკვნებს უკავიათ. სწორედ ამ მასალების ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთგათვალისწინებით უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეზის საკითხებთან დაკავშირებული შემაჯამებელი დასკვნების მიღება. პრობლემის კომპლექსურად შესწავლის აუცილებლობითაა გაპირობებული ამგვარ კვლევათა სირთულეც და არაორდინალურობაც. ეს კი მკვლევარისგან დიდ სიფრთხილესა და ზომიერების გრძნობას მოითხოვს.

ახლა რამდენიმე სიტყვით შევეხებით ზემოთ უკვე აღნიშნული ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე დისციპლინების საშუალებით მოპოვებული მასალების სპეციფიკურობას.

ა) უპირობოდაა აღიარებული **ეთნოგრაფიული** მასალის მნიშვნელობა ნებისმიერი ხალხის ეთნიკური ნიშან-თვისებების დასახასიათებლად. ხშირად ეთნოგრაფიული მონაცემები ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში ერთ-ერთ მთავარ და განმსაზღვრელ როლს თამაშობენ. ეს მონაცემები, საკუთარი მომცველი ხასიათისა და მრავალფეროვნებით გაპირობებულნი, ასახავენ ეთნოსის ყოფისა და კულტურის ყოველ სფეროს და, გამომდინარე აქედან, ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ერის (ეთნოსის) სულის შესახებ, მისი ინდივიდუალობისა და განუმეორებლობის შესახებ. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ დავაფიქსიროთ და გავაანალიზოთ ის დვრიტა ერის სულისა, რითაც ის გამორჩეულია ყოველი სხვა ერისგან, რითაც მას – ერს შეაქვს თავისი წილი განსხვავებულობათა უზარმაზარ ერთიანობაში. ეთნოგრაფიული მასალის ამგვარი მომცველი ინფორმატულობა თავად მისსავე კარტოგრაფირების შესაძლებლობასაც იძლევა. ბევრი ჩვენამდე მოღწეული ჩვეულების (რომელთაც ფესვები საუკუნეთა და ათასწლეულთა მიღმაც კი აქვთ გადგმული) მდგრადობა დროში, შესაძლებლობას გვაძლევს ჩავწვდეთ ეთნიკური ყოფის სიღრმეებსაც.

მიუხედავად ამისა, ეთნოგრაფიული მონაცემების ნიადაგზე ეთნოგენეტიკურ პროცესთა წარმოჩენა-ანალიზი მეთოდოლოგიურად რთულად გადასაწყვეტ მთელ რიგ საკითხებს უკავშირდება. განსაკუთრებით ნათლად ეს საკითხები მაშინ გამოჩნდებიან ხოლმე, როდესაც ისტორიულისა და სტადიალურის ურთიერთშეჯერების ფაზი დგება. ასევე მთელ რიგ სირთულეებს ვაწყდებით მაშინ, როდესაც ვიყენებთ ისტორიულ-შედარებით მეთოდს ერთიმეორისგან ქრონოლოგიურად დაცილებულ დროის მონაკვეთებში მომხდარ მოვლენათა ანალიზის დროს. მართალია, ეს მეთოდი თანამედროვე ეთნოსების შესწავლის მომენტში ერთობ წარმატებულად გამოიყენება ხოლმე, მაგრამ შორეულ წარსულში მიმდინარე ეთნოგენეტიკური პროცესების წარმოსაჩენად მისი გამოყენება საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. რამდენადაც უძველეს პერიოდში მცხოვრები ეთნოსების ყოფის აღდგენა ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლების საშუალებით არის შესაძლებელი, ამდენად ამა თუ იმ ეთნოსის უძირითადესი ყოფითი თავისებურებების აღდგენა მხოლოდ ნაწილობრივადაა შესაძლებელი.

ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში სტადიალურისა და ისტორიულის ურთიერთშეჯერების პრობლემის დაძლევის ცდად უნდა ჩაითვალოს რიგი გამოკვლევებისა, რომლებიც სამეურნეო-კულტურული ტიპისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების თეორიული საკითხების დამუშავებას მიეძღვნა. არის გარკვეული ცდებიც იმისა, რომ მოიძებნოს სამეურნეო-კულტურული ტიპსა და არქეოლოგიურ კულტურას შორის შეხების წერტილები და შესაბამისად მიღწეული იქნეს შეთანხმება სტადიალურსა და ისტორიულს შორის (იხ.15; 16).

მაშასადამე, ეთნოგენეტიური პროცესების კვლევის მომენტში ეთნოგრაფიული მონაცემების გამოსაყენებლად დიდი ზომიერება და სიფრთხილეა საჭირო, თუმცაღა ნათელია ამგვარი მონაცემების ერთერთი უპირატესი მნიშვნელობა ამ სახის კვლევებში. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ეთნოგრაფიის სფეროში, მთელ რიგ შემთხვევებში, შედარებით-ისტორიული მეთოდი იძლევა ყოფისა და კულტურის უძველესი ფორმების რეკონსტრუქციის მყარ საფუძველს.

ბ) იმდენად, რამდენადაც კაცობრიობა თავის ისტორიის დასაბამს გარემო პირობებთან ბიოცენოზში შესვლით და აქედან გამომდინარე კულტურულ არტეფაქტთა შექმნით იღებს (რომელთა უძველესმა ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწიეს), **არქეოლოგიური კვლევების** შესაძლებლობები ეთნოგენეტიური პროცესების შესწავლის საქმეში თითქმის უსაზღვროა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში კაცობრიობის ისტორიის ის ეტაპი წარმოდგენილი, რომლის ხლართებშიც ასე ხელშესახებად ძნელად თუ შეადწვეს ხოლმე რომელიმე სხვა სამეცნიერო დისციპლინა. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს არქეოლოგიური კვლევების დიდ როლზე ეთნოგენეტიური პროცესების კვლევის საქმეში. არქეოლოგია ხომ უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს იმას, რომ განსაზღვროს მოცემული კულტურის გავრცელების საზღვრები, გამოყოს მეტნაკლებად პერსპექტიული ძეგლი, რომლის შეძლებისდაგვარად მკაცრად ჰორიზონტალურ შრეებად გათხრის შემდეგაც უნდა გამოაქვეყნოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს გამომზეურებულ ფაქტებს (7, 13).

ეთნოგენეტიური პროცესების შესწავლის მომენტში მკვლევარის ხელში არსებული არქეოლოგიური მონაცემების სისრულე დამოკიდებულია გათხრილი მასალის მოცულობასა და დიაპაზონზე. ქრონოლოგიურად რაც უფრო დიდ მონაკვეთს მოიცავს არსებული მასალა, მით უფრო მეტად არის შესაძლებელი ცალკეულ ეტაპებს შორის მემკვიდრეობითობის თვალის მიდევნება. გამომდინარე აქედან, მით უფრო შესაძლებელია ცალკეულ კომპლექსთა ადგილობრობისა თუ მოსულობის საკითხთა დასმაც და გადაწყვეტაც.

არქეოლოგიური მასალის დიდ ფართობზე კარტოგრაფირების შემთხვევაში, რასაკვირველია, უფრო მაღალია ამ მონაცემთა სანდობის დონეც და შეჯერების პროდუქტიულობაც. ამის გარდა, ეს მოცემულ კომპლექსთა ტიპოლოგიური კვლევებიდან მათ სივრცეში გავრცელების ანალიზზე გადასვლის საშუალებასაც იძლევა. მთლიანობაში ყველა ეს ამოცანა ადვილად გადაწყდება ხოლმე, როცა დაგროვილია საკმარისი მასალა.

უნდა ითქვას, რომ ეთნოგენეტიური პროცესების კვლევაში არქეოლოგიური მასალის გამოყენების დროს, ამ უკანასკნელის საფუძველზე ეთნიკური ერთობების გამოვლენის კრიტერიუმების დაუმუშავებლობის გამო, მთელ რიგ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. ერთ-ერთ ამგვარ კრიტერიუმად არქეოლოგიური მასალის კარტოგრაფირება უნდა ჩაითვალოს (10, 27), რომლისთვისაც თვალის მიდევნება, სამწუხაროდ, არც ისე ხშირადაა შესაძლებელი.

მაშასადამე, არქეოლოგიურ მასალაში, საზოგადოდ, მოცემულია ის უძველესი პერიოდები კაცობრიობის ისტორიისა, სადამდეც ერთობ ძნელად თუ აღწევს ეთნოლოგია. უძველესი არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მჭიდროდ დაკავშირების აუტულებლობა. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას კიდევ, რომ არქეოლოგია იგივე წარსულში გაჭრილი ეთნოგრაფიაა, მაგრამ იგი გვაგონებს „მკვდარ“, უსუსტოცხლო ეთნოგრაფიას, რომლის ძირითადი დასკვნები ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალიალური კულტურის ძეგლებს (სულიერი კულტურის ძეგლთა გამოყოფა აქ ერთობ ჰიპოთეტურ დონეზე ხდება). თუმცადა, არქეოლოგიური ძეგლები მაინც ატარებენ ეთნიკური თავისთავადობის გარკვეულ ნიშნებს (ორნამენტი, სამშენებლო ტრადიცია, დაკრძალვის რიტუალი და სხვა), რომლებიც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოვიყენოთ ეთნოგენეტური პროცესების კვლევაში.

გ) სრულიად ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ **ენა** ეთნოსის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია. უმრავლეს შემთხვევაში ენობრივი კუთვნილება ემთხვევა ეროვნულ თვითშემეცნებას და, ეთნიკურობის ეს ორი საიმედო კრიტერიუმი ამა თუ იმ ეთნოსის ვინაობის უტყუარ მოწმედ გვევლინება. ერი – ეს არის კონკრეტული ენით დახასიათებული სულიერი ფორმა კაცობრიობისა, ინდივიდუალიზებული იდეალურ ტოტალურობასთან მიმართებაში (7, 310). ენებს შორის განსხვავება – ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ნიშანდობლივი სხვაობა. სიტყვები და სიტყვათა ფორმები წარმოქმნიან და განსაზღვრავენ ცნებებს, გაგებებს. სხვადასხვა ენები თავიანთი არსით, ახდენენ რა უშუალო და პირდაპირ გაგებებსა და შემეცნებასა და შეგრძნებებს, სინამდვილეში ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროთშემეცნებებს წარმოადგენენ. ესა თუ ის ენა, მუდმივი ზეგავლენის მიუხედავად, გამომდინარე თავისი ხასიათიდან, მყარად ინარჩუნებს საკუთარ ინდივიდუალობას. ენის უკუგავლენა ადამიანზე იმითაა გაპირობებული, რომ მისი დახმარებით ასწლებულთა და ათასწლებულთა განმავლობაში ფორმირებული საერთოეროვნული მახსოვრობა უშუალოდ ზემოქმედებს ინდივიდზე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების ინდივიდუალობა, ენის ინდივიდუალობის ანალოგიურია, რამდენადაც მათზე ზემოქმედებას იდენტური ხასიათის გარემოებანი ახდენენ. ენაში, რომელიც ადამიანის მიერ საკუთარ საცხოვრებელ-სამკვიდრო სივრცის აკუსტიკურ მონაცემებთან უნისონშია ჩამოყალიბებული, ჩვენ ყოველთვის ვაფიქსირებთ ხოლმე ჭეშმარიტად ეროვნული თვითშეგნების დუღაბს, რომელიც თავად ერის ღრმად ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მოწყობიდან, ზოგადად მისი ხასიათიდან მომდინარეობს.

ცნობილია, რომ ენის როგორც კონკრეტული რეალობის აღნიშნულ თვისებათა გათვალისწინებით შესაძლებელია დიალექტთა მოძრაობის და მიგრაციის ტრექტორიის აღდგენა, რაც ამასთანავე ეთნოგენეტურ პროცესთა წარმმართველ გარემოებათა ერთ-ერთი მიზეზის რეკონსტრუქციასაც წარმოადგენს. იმისდა მიხედვით, თუ სად მოთავსდება ამა თუ იმ ფუძე ენაზე მოლაპარაკე ეთნიკურ ერთეულთა წინარე სამშობლო, თუ

რომელ გეოგრაფიულ რეგიონს მივიჩნევთ ამა თუ იმ ფუძე ენის გავრცელების პირვანდელ ტერიტორიად, შესაძლოა დადგინდეს ამ ეთნიკურ წარმონაქმნთა წინარეისტორიული მიგრაციების და განსახლების სურათი (9,44).

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ვერ ვიფიქრებთ იმას, რომ ლინგვისტური მონაცემები წარმოადგენენ ერთადერთ ძირითად განმსაზღვრელს ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში. მაგალითად, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა რომელიმე ეთნოსოციალური ორგანიზმის გადასვლა ახალ ენაზე, სრულიადაც არ გულისხმობს მოსახლეობის შემადგენლობაში ძირეულ ცვლილებებს. ე.ი. ახალი ენა აღიქმება არა როგორც ეთნიკური, არამედ როგორც კულტურულ (თუნდაც აგრესიული ფორმის) ურთიერთობათა შედეგი. ან კიდევ, თვით ქრონოლოგიური ფაქტორი არ იძლევა სრულად იმის საშუალებას, რომ უტყუარად იქნეს აღდგენილი უძველესი ლინგვისტური ფორმები. თუმცა, გლოტოქრონოლოგიის მეთოდის გამოყენებით (მაგ. თ.გამყრელიძისა და ვ. ივანოვის კვლევები), როგორც ვარაუდობენ შესაძლებელია წინარე ენის აღდგენა. დაბოლოს, ჯერჯერობით სათანადოდ შეუძლებელია ამა თუ იმ ტერიტორიის უძველესი ლინგვისტური პანორამული სურათის სრულად აღდგენა.

ლინგვისტური მონაცემები, ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში, უცილობლად სხვა მონაცემებთან ურთიერთკავშირში უნდა იქნას გამოყენებული, ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ, აჯერებდნენ. ანალოგიური კუთხით უნდა იქნას გამოყენებული ანთროპოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევებიც.

მაშასადამე, კომპლექსურობა ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში აუცილებელ, განმსაზღვრელ პირობად უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის შედეგად არის შესაძლებელი ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში გარკვეული დადებითი შედეგების მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარად წარმართულმა კვლევამ, შესაძლოა ფსევდომეცნიერულ დასკვნებამდე მიგვიყვანოს და ვერაფერი არგოს ისეთი მრავალსახოვანი ფენომენის შესწავლას, როგორც ეთნოსი (მეტადრე მისი ისტორიის დასაბამი ეტაპი – ეთნოგენეზი) წარმოადგენს.

ვებებით რა საზოგადოდ ეთნოგონიისა და ეთნოგენეზის საკითხებს, ალბათ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ თავად ეთნოსზე. მსჯელობა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ეთნოსი, საბჭოთა და შესაბამისად მის შემადგენელ ქართულ ისტორიოგრაფიაში*, უკვე კარგა ხანის წინ დაიწყო და სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ შემუშავებულია საბოლოო ფორმულირება მის შესახებ; თუმცა, ასე თუ ისე მაინც მიღებულია, რომ ეთნოსი (ხალხი) – ეს არის განსაკუთრებული სახე სოციალური დაჯგუფებისა, ჩამოყალიბებული არა ადამიანთა სურვილის თანახმად, არამედ ისტორიული პრინციპებით.

* გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით, თანამედროვე ქართული საისტორიო სკოლა ვერ გათავისუფლდა საბჭოური სტერეოტიპებისგან.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის საერთო თვისებები და განმასხვავებელი თავისებურებანი, გამოვლენილი ეთნოსის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. უძირითადესს ამ სფეროთა შორის ენა წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ხდება ეთნოსის წევრთა ურთიერთობა. ენასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მთავარი მსაზღვრელია კულტურა. აქ უპირველესად იგულისხმება კულტურის ტრადიციული ხასიათების მქონე კომპონენტები, რომლებიც მასობრივად ვლინდებიან ერის ყოველდღიურ ყოფაში. ეთნოსის წევრთა კულტურული ერთიანობა, თავის მხრივ, განუხრელადაა დაკავშირებული მათსავე ფსიქიკურ თავისებურებებთან, ფსიქიკის ზოგადდამიანური თვისებების გამოვლინების ძალებთან. სწორედ ეს თავისებურებები წარმოადგენენ ე.წ. ეროვნულ ხასიათს. როგორც აღნიშნავენ, ყოველ ეთნოსს გააჩნია საკუთარი ყოფითი გარემო, თავისი ტერიტორია, თავისი კონკრეტული ისტორიული პირობები, თავისი განსაკუთრებული შემოგარენი... შესაბამისად, ეთნოსები სხვადასხვანაირად რეაგირებენ ერთსა და იმავე პრობლემაზე. სხვადასვა სახის პრობლემათაგან კი თითოეული მათგანი მისთვის საჭიროსა და აუცილებელს თუ გახდის მხოლოდ საკუთარი ყურადღების ღირსად. ეთნოსთა განსხვავება ეს კულტურათა განსხვავებაა, კულტურა კი, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე კულტუროლოგიაში, არის საზოგადოების ადაპტაციის უნივერსალური მექანიზმი საკუთარი არსებობის ბუნებრივ გარემოსთან (10, 83).

ეთნოსები განიფინებიან სივრცეში, გადაადგილდებიან, განიყოფიან სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებად, მთლიანად ან წილობრივ ერწყმიან კიდევ ხოლმე ერთიმეორეს. ამგვარ ვითარებაში აღმოცენდებიან ახალი ეთნოსები, მაგრამ ისინი მთლიანად მაინც არ კარგავენ საკუთარ ძველ ნიშან-თავისებებს. ეთნოსთა შორის ნათესაური დამოკიდებულება ხშირად განისაზღვრება ხოლმე მათი კულტურების მსგავსი ხასიათებისა და მიხედვით. ოღონდ, ცალკეულ შემთხვევებში ეს მსგავსება სხვადასხვა ხალხებს შორის შესაძლოა შედეგი იყოს არა მხოლოდ მათ შორის უშუალო ნათესაური კავშირებისა, არამედ მსგავსი გეოგრაფიული და ისტორიული განვითარების პირობებისა; ან ფართო სამეზობლო-ეკონომიკური ურთიერთობებისა. ზოგჯერ იმდენად დიდია მსგავსება ეთნიკურ კულტურებს შორის, რომ საკმაოდ ძნელია გარკვევა – საერთო კულტურის ლოკალური ვარიანტები არიან ისინი თუ სხვადასხვა დამოუკიდებელ კულტურებს წარმოადგენენ. ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეთნოსი სხვადასხვა სოციალურ ფორმაში წარმოჩინდება. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესა თუ ის სოციალური ფორმა ყოველთვის სულაც არ არის ეთნოსის, როგორც კონკრეტული რეალობის მუდმივად თანმდევნი.

ეთნოსის მრავალსაუკუნოვან არსებობას განაპირობებს ენის, ტრადიციებისა და ყოფის მემკვიდრეობითობა. ეთნიკური საზოგადოების გაჩენა განპირობებულია მის წევრთა უშუალო ურთიერთობით, რაც მხოლოდ მათი საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებითა არის შესაძლებელი. ამ ტერიტორიაზე ხდებ-

ბა მათ შორის შესაბამისი ეთნოკულტურული ურთიერთობების დამყარება. სწორედ აქ, გარკვეულ გარემოში უნდა ჩამოყალიბდეს ეთნიკური კულტურა საკუთრივ ეთნოსთან ერთად ერთ მდგრად კულტურად, რის შემდეგაც ძალუძს მას გადაადგილება დროსა და სივრცეში, მიღება ან გაცემა რაიმე ღირებულისა. ადამიანთა ნებისმიერი ერთობის კულტურა საკმაოდ ვირტუალურ მოვლენას წარმოადგენს, რაც მრავალმხრივი გარემოება-მოვლენათა ზემოქმედებითაა გაპირობებული და, შესაბამისად, იგი ადვილად ცვალებადია დროში. ოღონდ-დაც აქ, უცილობლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კულტურა დრო-ჟამის მდინარებისას იცვლის არა მთლიანად შინაარსს, არამედ მხოლოდ ჩამოიშორებს გარკვეულ ნიშნებს, მაგრამ მათ ხარჯზე იგი უცილობლად შეიძენს ხოლმე ახალ თვისებებს. კულტურის ამ დინამიურ ნაწილთან ერთად არსებობს მისი მეტად კონსერვატიული ნაწილიც, რომელიც უცვლელი რჩება დიდი დროის განმავლობაში და მოიცავს ეთნოსის შინაგანი განვითარების სხვადასხვა ეტაპებს.

აღიარებულია, რომ ეთნიკურ ერთობებს შორის განსხვავებათა დასადგენად ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა მოქმედების ჯგუფურ თავისებურებებს. ჯგუფური მოქმედების საფუძველი და კონკრეტული გამოხატულება კი შრომით-საწარმოო საქმიანობაა, რაც მატერიალური და სულიერი განვითარების მრავალფეროვნებაში ვლინდება. ადამიანთა საქმიანობის შედეგი ქმნის კულტურას (ამ ცნების ფართო მნიშვნელობით), რომელიც მოიცავს არა მარტო განვითარებულ შრომას, არამედ თვით ადამიანთა ქმედებას, ქცევას, გადაზრდილს ჩვევებსა და ზნეში (11, 30).

ტრადიცია, ზოგადი გაგებით, ადამიანთა ერთგვაროვან ჯგუფურ ჩვევას და ქცევას აღნიშნავს, რომელიც წარმოქმნა-ჩამოყალიბების შემდეგ გადაეცემა დროში და განაგრძობს არსებობას. ეთნიკური ტრადიცია ისტორიულ-სოციალური მოვლენაა. იგი მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი და ორმაგი სახე გააჩნია: ერთი – ტრადიცია, როგორც სოციალური წესებისა და ნორმების აღდგენის მექანიზმი, როდესაც ამ ნორმებისთვის მხარდაჭერა დაკანონებულია წარსულში მათი არსებობის ფაქტით და მეორე – როცა ტრადიციის ცნებაში იგულისხმება ისტორიულად წარმოშობილი ისეთი სოციალური წესები და ნორმები, რომლებიც აღდგებიან ტრადიციული წესით და გააჩნიათ მემკვიდრეობითობის უნარი (11, 6).

ტრადიციათა ფორმირებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურული ტიპი. ეთნოლოგიური კვლევები ნათელყოფენ, რომ ხალხებს, რომლებიც ისტორიულად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და სხვადასხვა ეთნიკურ და ლინგვისტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მეურნეობასა და კულტურაში მსგავსი მოვლენები უვითარდებათ. ეს, როგორც წესი, გაპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთი და იმავე დონით და მსგავსი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო-პირობებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეურნეო-კულტურული ტიპების განსაზღვრაში კულტურის

განვითარების დონეს შედარებით მეორეხარისხოვანი როლი უკავია და, წინა პლანზე წამოწეულია მისი ძირითადი მსაზღვრელი – მეურნეობა.

მეურნეობის განვითარების დონის შესაბამისად სამეურნეო-კულტურული ტიპი სამ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი ხასიათდება მიმთვისებლური მეურნეობის უპირატესობით, მეორე – თოხნითი მიწათმოქმედების და მესაქონლეობის უპირატესობით, ხოლო მესამე აერთიანებს გუთნურ მიწათმოქმედებას.

ადამიანთა ჯგუფური შრომითი-საწარმოო საქმიანობის ობიექტური საფუძველია გეოგრაფიული გარემო. ამ გაგებით, ეთნიკური ცხოვრების სტილი ანუ ყოფა და კულტურა, განსაკუთრებით ეთნოსის ჩამოყალიბების საწყის საფეხურებზე, არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა და განსაზღვრული ლანდშაფტის ურთიერთქმედების შედეგი. ეს გამოვლინდება ცხოვრების ყოველ სფეროში. ბუნებრივ საწარმოო ძალთა თვალსაზრისით ღარიბ და ერთფეროვან ლანდშაფტურ გარემოში ეთნოგენეზის პროცესი ნელა მიმდინარეობს. კავკასიაში კი წარმოდგენილია როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ზონალობა, რაც თავისთავად ეთნოგენეტური პროცესების მასტიმულირებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

განვითარების პროცესში ერთიანი საწარმოო საქმიანობით შეკავშირებული კოლექტივი თავის სამოსახლო რეგიონთან ბიოცენოზში შედის, რაც კულტურის ქმნადობის სარბიელს აყალიბებს. სწორედ ასე ფორმირებული კულტურის შიგნით თავს იყრის ეთნიკური ერთეულის ყველა დამახასიათებელი ნიშანთვისება, კერძოდ კი კულტურის მყარი და თვალსაჩინო კომპონენტები: ენა (ეთნიკური ერთობის საფუძველი და ინდიკატორი), მატერიალური და სულიერი კულტურის მახასიათებლები, ჩვეულებით-სამართლებრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვის ნორმატივები (მაგ., სჯული) და სხვა. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ უნიკალურ სოციალურ მოვლენას, რომელიც ასე რიგად ახასიათებს უკვე ფორმირებულ ეთნიკურ ერთეულს, კერძოდ იმ თვისებას, რომლის ნიადაგზეც ესა თუ ის ეთნიკური ერთეული „ჩვენ“ ცნობიერებითი აქტის საფუძველზე გამოიცალკეებს თავს სხვა დანარჩენი კაცობრიობისგან. ადამიანთა კოლექტივის შინაგანი ერთობის შეგრძნება სოციოგენეზის პროცესის ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი და საგულისხმო მომენტი. ეთნიკურ ერთეულშიც, ისევე როგორც ადამიანთა ერთობის გარკვეულ ფორმაში, იგივე სოციალურ-ფსიქოლოგიური მომენტი არსებით როლს თამაშობს. აქაც მთავარია ანტითეზა – „ჩვენ“ და „ისინი“ (12, 48).

ადამიანთა საწარმოო საქმიანობის ობიექტური პირობაა გეოგრაფიული გარემო, უფრო სწორედ ბუნებრივ-სამეურნეო პირობები. ცხადია, რომ უშუალოდ ადამიანის ორგანიზმზე და ნებისმიერ კოლექტივზეც, მოქმედებს არა დედამიწა საერთოდ, არამედ მისი განსაზღვრული ლანდშაფტი (12, 49). გეოგრაფიული ლანდშაფტი ორგანიზმზე ზემოქმედებს იძულებით და აძლევს მიმართულებას მის ქმედებას. ეს სათანადო გამოხატულებას ახდენს ე.წ. სამეურ-

ნეო-კულტურული ტიპის ჩამოყალიბებაზეც. კონკრეტულ სამეურნეო პირობებში შესაფერისი სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდება (13, 169).

ეთნიკური ჯგუფი, თავისი ჩამოყალიბების მომენტში მწარმოებლურად ეგუება განსაზღვრულ ლანდშაფტს, განაგრძობს მასზე ცხოვრებას. იწყება ბუნების ანთროპოგენური ცვლილებანი. მყარი ლანდშაფტი ამ ეთნიკური ჯგუფის სტაბილიზებას უწყობს ხელს, ამასთან ამავე ლანდშაფტის ბუნებრივ საწარმოო ძალთა მრავალფეროვნება ეთნოსის საწარმოო აქტივობას იწვევს, რაც საერთო პროგრესის საფუძველიცაა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თავისი ფორმირების პროცესში, საერთო წარმომავლობის შეგნების ნიადაგზე ჩამოყალიბებული ეთნიკურობის ნიშნით აღბეჭდილი კოლექტივი, საკუთარ სამკვიდრო რეგიონთან ბიოცენოზში შედის, რაც მისი კულტურული ქმნადობის ხანგრძლივობას ბადებს. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ეთნიკური კულტურის მიღწევების საზომი ყოველთვის კონკრეტული უნდა იყოს და, საჭიროა დიდი სიფრთხილე ისეთი საკვალიფიკაციო ტერმინების ხმარების დროს, როგორიცაა გამოთქმები – „ველური“, „პრიმიტიული“, „პირველყოფილი“ და ა.შ.

ეთნოსის ნიშანთა განხილვა გვიჩვენებს, რომ ადამიანთა განსაზღვრულ ერთობას, ადამიანთა კოლექტივს, რომელიც ერთ ენაზე საუბრობს, აუცილებლად უნდა ჰქონოდა ერთი განსაზღვრული ტერიტორია, რომელზეც ცხოვრება, არსებობა ე.ი. საარსებო საშუალებათა წარმოება, ადამიანთა შორის რეალურ კავშირებს აღმოაცენებდა. ამიტომ ცხადია, რომ ასეთი ტერიტორიის არსებობა წარმოადგენს ყოველი ეთნოსის ფორმირების აუცილებელ პირობას. მაგრამ ხშირად ხდებოდა ისეც, რომ ისტორიულად ეს ტერიტორია ხანდახან იცვლებოდა. ამიტომ ხშირია განსხვავება ეთნოსის თავდაპირველი წარმოქმნისა და შემდგომ საცხოვრებელ ტერიტორიებს შორის (13, 14-15). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამკვიდროს ადგილმოცვლილმა ჯგუფმა ალბათ შეინარჩუნა გარკვეული ნიშნები იმ სამეურნეო კულტურული ტიპისა, რომელიც მას დედისამშობლოში ჩამოუყალიბდა და შეძლებისდაგვარად მიუსადაგა იგი ახალ ბუნებრივ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ქართველური ერთობა ძალზე ადრეა გამოკვეთილი დღევანდელი თავისი სამკვიდროს მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ფარგლებში. ქრონოლოგიურად ეს მოდის ქრისტემდე IV-III ათასწლეულების მიჯნაზე და წინ უსწრებს საერთო ფუძე-ენის დაშლის პროცესს. ამ ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა მწარმოებლური მეურნეობის (მიწათმოქმედება დამხმარე მესაქონლეობით) დარგობრივი სტაბილიზაცია ლანდშაფტურ-მეურნეობრივი ზონალობის პირობებში. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მეურნეობის მოწყობის ეს პრინციპი ქართველური ეთნოსის საწარმოო საქმიანობის პროფილის ძირითად ნიშნად დარჩა მოაქამქამდის, ხოლო ამ პროცესის ბიოსოციალური პირობა იყო ორგანიზე-

ბული ენდოგამიურობა, რამაც თავის მხრივ საწყისი მისცა ტრადიციული კულტურის მიმღებობით მემკვიდრეობას.

აღსანიშნავია, რომ ქრისტემდე III ათასწლეულის შუა ხანებისთვის აშკარად შეიმჩნევა რიგი აღრევებისა, ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურულ ტიპს შიგნით – გაურკვეველია დასახლებისა და საცხოვრისის ტიპები, ცვლილებებია ისეთ ღრმად ტრადიციულ სულიერ სფეროში, როგორცაა დაკრძალვის რიტუალი; ნათლად არ არის გარკვეული სამეურნეო-ყოფითი სურათიც. ჩვენის აზრით, ამგვარი მკვეთრი აღრევა უკვე ნათლად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურულ ტიპს შიგნით გამოწვეული უნდა იყოს აღნიშნულ პერიოდში ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უცხო ეთნიკური მასების გამოჩენით, რომლებიც დამხვედური მოსახლეობისგან მკვეთრად განსხვავებული სამეურნეო-კულტურული ტიპისთვის დამახასიათებელი სამეურნეო-ყოფითი ცხოვრების მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ.

ვფიქრობთ, მართებულია ოთარ ჯაფარიძის ის მოსაზრება, რომ გაურკვეველია აღმოსავლეთი ამიერკავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა „აღრეული ყორღანების“ ეპოქაში. სავარაუდოა, რომ III ათასწლეულის II ნახევარში ჩრდილოეთიდან აქ აღწვევენ გარკვეული ტომობრივი ჯგუფები, რომლებიც შემდგომში ითქვიფებიან კიდევ ადგილობრივ მოსახლეობაში (14, 39-40). ჩვენი აზრით, მოსულთა დამხვედურთაგან ასიმილირების პროცესი, უპირველს ყოვლისა, ადგილობრივ სამეურნეო-კულტურულ ტიპზე ამოზრდილ მდგრად სამეურნეო-ყოფით კულტურას უნდა განეპირობებინა, რომელიც თავის მხრივ, მკვიდრი ჯიშთშეგნებით და იმავე სამეურნეო-ყოფითი სტრუქტურით იყო შემაგრებულ-ფესვგადგმული.

P'aat'a Bukhrashvili

**On food production techniques of the Central
Transcaucasian populations of the mid-3rd millennium**

B.C.

Summary

Ethnogenesis, the origin and formation of ethnic entities, is constituted as the object of multidisciplinary study (by the disciplines of archaeology, ethnology, linguistics, physical anthropology, etc.), since an ethnos is by its nature a multi-faceted object, and cannot be adequately studied by the methods of a single social science. Multidisciplinary research is accompanied by a number of difficulties, of course, which must be overcome before undertaking the analysis of a specific region at a specific time.

An ethnos is defined according to the observation that a delimited social group of people, sharing a language, occupies a specific territory, which assures the means for their existence. It follows that this territory is an essential condition for the formation of an ethnos. Of course, from time to time this territory might change, and an ethnos might occupy a different territory from that on which it first consolidated. It should also be noted that the culture of a group which has migrated might retain traces of the food-production practices which evolved in their original homeland.

It should be mentioned that the unity of the ancient Kartvelian society was distinguished very early within the bounds of a territory more or less corresponding to its present-day homeland. Chronologically this is dated to roughly the late 4th to early 3rd millennium B.C., preceding the breakup of the Proto-Kartvelian linguistic community. The formation of this ethnic unity was based on the stabilization of food-production techniques (agriculture supplemented by stock breeding) in the context of specific topographic and ecological conditions. Special attention should be drawn to the fact that these traits remained a fundamental trait of the food-production profile of the Kartvelian ethnos up to recent times, in that this process's biosociological condition was organized endogamy, which ensured the continued inheritance of the traditional culture.

It is to be noted that in the mid-3rd millennium B.C. distinct evidence can be found of a series of disruptions within the evolved agricultural-cultural area: there are no clear settlement and dwelling patterns, there are changes in such fundamental spiritual domains as burial practices, the food-production picture is far from clear. In our opinion, such a sharp disruption within such a well-

developed cultural and agricultural type must have been linked to the appearance, at this specific time, of outside ethnic elements on Central Transcaucasian territory. These latter populations were characterised by a distinct culture and food-production practices.

We believe that Prof. Otar Japaridze's assertion is correct, that the ethnic composition of East Transcaucasia at the time of the "Early Kurgan" culture cannot be determined. It is to be supposed that in the second half of the 3rd millennium B.C. certain tribal groups arrived from the north, which subsequently mingled with the autochthonous population. In our view, the process of the assimilation of the new-comers into the local population would have been conditioned by the greater stability of the locally-evolved cultural and food-production type, linked to an enhanced awareness of ethnic identity.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991. –140გვ.
2. ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ. 1991. –572 გვ.
3. Ur. Willenberg, Das Problem des Staatsentwicklung..., EAZ N2 1987, 272-288 blt.
4. ი. ტენი, ხელოვნების ფილოსოფია, თბ. 1990, –78გვ.
5. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი, ენა და კულტურის ფილოსოფია, მოსკოვი. 1985 - 449 გვ. (რუსულად).
6. ს.ა. ტოკარევი, ეთნოგენეზის პრობლემის დასამისათვის, საბჭ. ეთნ. ენ N3 1949 12-36გვ.(რუსულად).
7. ჯ.მელაარტი, ახლო აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციები, მოსკოვი 1985. –475 გვ. (რუსულად)
8. ი.ს. კამენეცკი, არქეოლოგიური კულტურა – განსაზღვრა და ინტერპრეტაცია, საბჭ. არქ. N 2 1970 19-37გვ.(რუსულად)
9. თ. გამყრელიძე, ინდოევროპული „წინარე სამშობლო“ და ქართველური ენები, კრებ. ა.შანიძე, თბ.1987
10. ს.ა. არუტუნოვი, „ეთნოფსიქოლოგიის“ ცნების გაგებისათვის, საბჭ. ეთნ. N2 1983 (რუსულად)
11. მ.გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ. 1978
12. ლ.ნ. გუმელევი, ეთნოგენეზი და ეთნოსფერო, „პრიროდა“ N 1, 1970 (რუსულად)
13. ი.ა. ჩებოკსარევი, ნ.ნ. ჩებოკსარევა, ხალხები, რასები, კულტურები, მოსკოვი. 1971 (რუსულად)
14. ოთ. ჯაფარიძე, ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში, თბ. მაცნე N 2, 1989 26-40 გვ.

15. ვ. შამილაძე, ეთნოსის და არქეოლოგიური კულტურის კორელაციის საკითხისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა XIV, თბ. 1987, გვ. 3-15.
16. პ. ბუხრაშვილი, არქეოლოგიური კულტურისა და სამეურნეო-კულტურული ტიპის ურთიერთმიმართებისთვის, თსუ შრომები (ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია), XII, თბ. 1986.